განკარგულება:**გ-63. 632335919**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი -ჯიკო“-ს 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტეის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი’’-ს თავი III მუხლი, 16-ე პუნქტი 2 „ი“ ქვეპუნქტი, თავი IV, მუხლი 24 , პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯი, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2024 წლის სამუშაო პროგრამა. (დანართი N1).
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2024 წლის შემოსავალი. (დანართი N2).
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯი. (დანართი N3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი. (დანართი N4).
5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2024 წლის შტატგარეშე თანამშრომელთა განრიგი და სახელფასო ფონდი. (დანართი N5.)

დანართი N1

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს

პროგრამა

ფრენბურთის პოპულარიზაცია

პროგრამული კოდი: 05 01 02 03

პროგრამის განმახორციელებელი: ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“.

პროგრამის აღწერა

საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ქალთა გუნდური სახეობების ზოგადად და კერძოდ ქალთა ფრენბურთის პროპაგანდა, პოპულარიზაცია და დამკვიდრება. საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ წარმოდგენილია ფრენბურთელ ქალთა გუნდით „ჯიკო“ და შესაბამისად კლუბის პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე საწვრთნელი პროცესის ფორმებისა და მეთოდების დანერგვით სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებასა და სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნას, შეჯიბრებებისათვის ინტესიური მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზებას, მონაწილეობის მიღებას, როგორც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე საერთაშორისო შეხვედრებში, მწვრთნელთა სპორტულ-მეთოდური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით სწავლებებში მონაწილეობის მიღებას, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო ორგანიზაციის - სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის, ასევე სპორტის სახეობათა ფედერაციებისა და სხვა სპორტული ორგანიზაცია დაწესებულებათა მიერ ორგანიზებული მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში და ა.შ.

საწვრთნელ პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე გუნდ „ჯიკო“-ს წევრთა უზრუნველყოფას ეკიპირების სრული კომპლექტით, ბურთებით, ტრენაჟორებით და ა.შ.

საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე ფრენბურთელ ქალთა გუნ „ჯიკო“-ს შევსება ადგილობრივი მოთამაშეებით, უმცროსი ასაკის ჯგუფების შექმნითა და პერსპექტიული მომავალი თაობის აღმოჩენით. ამავე დროს პროგრამა მიზნად ისახავს სპორტსმენთა მოზიდვას მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარედანაც.

მიზანი:

კლუბის საქმიანობის მთელი გულისყური გადატანილია კონკურენტუნარიანი სპორტსმენების მოწოდებისაკენ. როგორც საქართველოს ეროვნული ასევე ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსალოდნელია და შესაძლებელი ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩაბმა უმცროსი ასაკის მოსამზადებელ ჯგუფებში, რათა გაიზარდოს ინტერესი ზოგადად სპორტისა და კერძოდ ფრენბურთის მიმართ. ააიპ საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ პროგრამის ფარგლებში კვლავაც გააგრძელებს მუშაობას სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდის კუთხით და შეეცდება უფრო მეტად მიმზიდველი და საინტერესო გარემო შექმნას მომავალი სპორტსმენებისათვის. მიაწოდებს ეროვნულ ნაკრებს ღირსეულ კანდიდატებს.

დანართი N 2

არასამეწარმეო (არაკომერციული(იურდიული პირის, "საფრენბურთო კლუბი - ჯიკო"-ს

2024 წლის შემოსავალი ათას ლარებში

N	შემოსავლების დასახელება	თანხა
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	144,0
2	საკუთარი შემოსავალი	50,0
	სულ	194,0

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის, "საფრენბურთო კლუბი-ჯიკო"-ს

2024 წლის სუბსიდიის და საკუთარის ხარჯი ათას ლარებში

	ეკ.კ ლას.კ ოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავლები
1		**05,01, 02,03**	**ა.(ა).ი.პ. საფრენბურთო კლუბი -ჯიკო**	**194,00**	**144,00**	**50,00**
2			**მომუშავეთა რიცხოვნობა**	**7**	**7**	
2	**2**		**ხარჯები**	**194,00**	**144,00**	**50,00**
2	**2.1**		**შრომის ანაზღაურება**	**66,50**	**56,50**	**10,00**
3	**2.2**		**საქონელი და მომსახურება**	**97,80**	**67,80**	**30,00**
3	**2.8**		**სხვა ხარჯები**	**29,70**	**19,70**	**10,00**

I წრე

N	ხარჯების დასახელება	კაცი	დღე	თანხა (ლარში)	ჯამი
1	სპორტული ღონისძიება	11	5	90	4950
2	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა გადაყვანის ხარჯი)				1000
	ჯამი				5,95

II წრე
პლეიოფის თამაშები ნახევარფინალი (მისვლა -მოსვლა)
(ათასი ლარი)

N	ხარჯების დასახელება	კაცი	დღე	თანხა (ლარში)	ჯამი
1	სპორტული ღონისძიება	11	1	100	1100
2	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა გადაყვანის ხარჯი)				1000
	ჯამი				2,1

III წრე

პლეიოფის თამაშები ნახევარფინალი (მისვლა - მოსვლა) (ათასი ლარი)

N	ხარჯების დასახელება	კაცი	დღე	თანხა (ლარში)	ჯამი
1	სპორტული ღონისძიება	11	1	100	1100
2	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა გადაყვანის ხარჯი)				1000
	ჯამი				2,1

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული(იურდიული პირის "საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს

2024 წლის საშტატო და სახელფასო გაანგარიშება ათას ლარებში

N	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაო-ბა	ხელფასი ერთეულზე		წლიური ხელფასის ფონდი
			ხელფასი ერთეულზე	ერთი თვის ხელფასი	
	ადმინისტრაცია				
1	დირექტორი	1	990,0	990	11880,0
2	ბუღალტერი	1	517,0	517,0	6204,0
3	მთავარი მწვრთნელი	1	990,0	990,0	11880,0
4	ოფისის მენეჯერი	1	638,0	638,0	7656,0
5	ექიმი	1	303,0	303,0	3636,0
6	შესყიდვების აგენტი	1	550,0	550,0	6600,0
7	მწვრთნელი	1	715,0	715,0	8580,0
	ჯამი	**7**		**4703,0**	**56436,0**

დანართი N5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის, "საფრენბურთო კლუბი-ჯიკო"-ს

2024 წლის შტატგარეშე თანამშრომელთა სახელფასო გაანგარიშება ათას ლარებში

	თანამდებობა		წლიური ხელფასის ფონდი	
1	მოთამაშეები	10	47520,0	
2	სპეციალისტი	1	5940,0	
			0	
		11	53460,0	

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი